# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

(ზღვრების შესაბამისად)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 15 მარტი **2022 წ**.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არარის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

2.1. ერთის მხრივ, **შპს „მარნეულის სოფწყალი“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორი ნაბი აბდულაევის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბოლემა“** (შემდგომში „მიმწოდებელი“)მისი დირექტორის მატანატ ნასიბოვის სახით.

3. **ხელშეკრულების საგანი**
4. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 01.03.2022წლის N15 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სხვადასხვა სახის მასალები (**CPV-31711140-ელექტროდები:CPV-31681100-ელექტროკონტაქტორები:CPV-18812200-რეზინის წაღები/ჩექმები: CPV-42675000-მყარი მასალების დასამუშავებელი ჩარხების ნაწილები და აქსესუარები: CPV-42412111-ბაგირიანი ამწე მექანიზმი.**)*<u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.</u>*
5. *<u>18800000-75 ლარი</u>*
6. *<u>31600000-155 ლარი</u>*
7. *<u>31700000-81 ლარი</u>*
8. *<u>42400000-200 ლარი</u>*
9. *<u>42600000-24,5 ლარი</u>*

10. **ხელშეკრულების ღირებულება**

10.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს***<u>535,50(ხუთასოცდათხუთმეტი და 50 თეთრი)ლარი,</u>***.*საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.*

10.2. ***<u>დაფინანსების წყარო -2022 წლის საკუთარი სახსრები.</u>***

11. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

11.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **<u>2022 წლის 25 მარტის ჩათვლით,</u>** ხარისხიანი საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

11.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას საქონლის ღირებულება.

11.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

12. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

12.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

12.2. შემსყიდველის მხრიდან ,,მიღება–ჩაბარების“ აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი – ***<u>შპს ,,მარნეულის სოფწყალი“–ს დირექტორი ნაბი აბდულაევი.</u>***

13. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

13.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ***<u>- შპს ,,მარნეულის სოფწყალი“–ს ტექნიკური მენეჯერი აკაკი ხარშილაძე.</u>***

## 14. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

14.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული **საქონელი** ამ დროის განმავლობაში არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

14.2.

## 15. ანგარიშსწორება

15.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

15.2. ანგარიშწორება მოხდება შესაბამისი „მიღება–ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

15.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო**. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები

16.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

16.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 17. უფლებების გადაცემა

17.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

18.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 19. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

19.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების (ხარისხი და დროულობა) შეუსრულებლობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 % ოდენობით;

19.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს შეუსრულებელი ვალდებულების 2%–ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

19.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 20. ხელშეკრულების შეწყვეტა

20.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

20.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

20.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

20.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

20.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 21. დავების გადაწყვეტის წესი

21.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

21.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 22. ინტერესთა კონფლიქტი

22.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს რომ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **შპს ,,მარნეულის სოფწყალი“–ს** მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან ***შპს ,,ბოლემა“*** სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

## 23. სხვა პირობები

23.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **31.04.2022 წ–მდე.**

23.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

### რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**

**შპს ,,მარნეულის სოფწყალი“**

**ფაქტ. მისამართი:** ქ. მარნეული, ერეკლე მეორეს ქ 3, ბ 49;

**ს.კ. 434158163**

**მომსახურე ბანკი:** ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი;

**ბანკის კოდი: LBRTGE22.**

ა.ა GE62LB0113145242467000;

**დირექტორი :**

Nabi Abdulaevi 28001011009 Digitally signed by Nabi Abdulaevi Date: 2022.03.15 14:36:50

_____________________________ **/ნ.აბდულაევი/**

**მიმწოდებელი:**

**შპს „ბოლემა“**

**მისამართი:** მარნეული 26 მაისის ქ.#6 სკოლის მ/ტ

**ს/კ N:** 434163763;

**მომსახურებანკი:** ს.ს. „ვითიბი ბანკი“

**ბანკის კოდი:** BAGAGE22;

**ა.ა.** GE24VT00000008603602

ტელ: 593445462

**დირექტორი:**

Matanat Подписано цифровой подписью: Matanat Дата: 2022.03.15 17:04:52 +04'00'

_____________________________ **/მ.ნასიბოვი/**